CONGRESS OF LOCAL AND REGIONAL AUTHORITIES
CONGRÈS DES POUVOIRS LOCAUX ET RÉGIONAUX

The Congress
Le Congrès

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

CALL FOR PROPOSALS

საგრანტო კონკურსი მუნიციპალიტეტებისთვის

ადგილობრივი ინიციატივები თანასწორობის, მრავალფეროვნებისა და ჩართულობის წახალისებაზე ადგილობრივ საჯარო ცხოვრებაში საქართველოში

პროექტი	მონაწილეობითი დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების გაძლიერება ადგილობრივ დონეზე საქართველოში
გრანტის გამცემი	**ევროპის საბჭო** ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესი
დაფინანსება	პროგრამა დაფინანსებულია ევროპის საბჭოს 2020-2023 წ.წ. სამოქმედო გეგმითა და ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის ფინანსური მხარდაჭერით
ხანგრძლივობა	პროექტები უნდა განხორციელდეს 2023 წლის 31 აგვისტომდე ანგარიშგებასთან დაკავშირებული მოთხოვნები უნდა შესრულდეს 2023 წლის 1 ოქტომბრამდე
დაწყების სავარაუდო თარიღი	2023 წლის 17 იანვარი
გამოქვეყნების თარიღი	2022 წლის 24 ოქტომბერი
განაცხადების ჩაბარების ბოლო ვადა	2022 წლის 24 ნოემბერი

სარჩევი

I. შესავალი 3

II. ევროპის საბჭოს პროექტის შესახებ ინფორმაცია 3

III. ბიუჯეტი 3

IV. მოთხოვნები 4

V. როგორ გავაკეთოთ განაცხადი? 6

VI. შეფასებისა და შერჩევის პროცედურა 7

VII. გადაწყვეტილების შესახებ მონაწილეთა ინფორმირება და საგრანტო ხელშეკრულების ხელმოწერა 8

VIII. განრიგი 9

<u>დანართები:</u>

- დანართი I - აპლიკაციის ფორმა
- დანართი II - ბიუჯეტის ფორმა (ნიმუში)
- დანართი III - საგრანტო ხელშეკრულების ნიმუში (საინფორმაციო მიზნებისთვის)
- დანართი IV - კონკურსის განაცხადისა და აპლიკაციის ფორმის არაოფიციალური თარგმანი ქართულ ენაზე

როგორ გავაკეთოთ განაცხადი?

- შეავსეთ და ხელი მოაწერეთ **აპლიკაციის ფორმას** (იხილეთ **დანართი I**)
- დაურთეთ ბიუჯეტის ფორმა (ნიმუშად გამოიყენეთ **დანართი II**)
- დაურთეთ სხვა დამატებითი დოკუმენტაციაც:
  - რეზიუმე, რომელიც შედგენილია Europass-ის ფორმატით 1. პირისთვის, ვინც პროექტის კოორდინაციაზე / მენეჯმენტზე არიან პასუხისმგებელი; 2. პირები, ვინც უშუალოდ იქნებიან ჩართულები პროექტის განხორციელებაში; 3. ექსპერტ(ებ)ი, ვინც პროექტის იმპლემენტაციის პროცესში იქნებ(იან)ა ჩართულ(ებ)ი (პროექტის დაწყებამდე შერჩევის / იდენტიფიცირების შემთხვევაში).
  - **არასავალდებულო**: სხვა მასალები, რაც მიიჩნევა განმცხადებლის სანდოობის ხარისხის გაზრდისთვის რელევანტურად და შესაძლოა იყოს საპროექტო განაცხადის დამატებითი ღირებულება: კვლევები, სტრატეგიები, სახელმძღვანელოები, და სხვა საინფორმაციო მასალები.
- განაცხადის მთლიანი პაკეტი უნდა გაიგზავნოს ინგლისურ ენაზე. ქართული თარგმანის გაზიარება შესაძლებელია საინფორმაციო მიზნებისთვის, თუმცა, შეფასების დროს გამოყენებული იქნება განაცხადის ინგლისური ვერსია.
- გამოაგზავნეთ აღნიშნული დოკუმენტები ელექტრონულად (Word ან / და PDF ფორმატში) ელექტრონული ფოსტის შემდეგ მისამართზე: georgia.localgov@coe.int ელექტრონული ფოსტის დასათაურებაში მიუთითეთ: Applications_Local Initiatives_განმცხადებელი მუნიციპალიტეტის დასახელება ინგლისურ ენაზე).
- განაცხადის ჩაბარება უნდა მოხდეს **<u>2022 წლის 24 ნოემბრამდე (შუაღამე / ცენტრალური ევროპის დრო (CET)</u>**.

I. შესავალი

საგრანტო კონკურსი მუნიციპალიტეტებისთვის დაგეგმილია პროექტის "*მონაწილეობითი დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების გაძლიერება ადგილობრივ დონეზე საქართველოში*" ფარგლებში, რაც ევროპის საბჭოს 2020-2023 წ. წ. საქართველოს სამოქმედო გეგმის შესაბამისად ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესისა („კონგრესი") და დემოკრატიის გენერალური დირექტორატის მიერ, ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნულ ასოციაციასთან („ათეა") თანამშრომლობითა და ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება.

კონკურსი მიზნად ისახავს პროექტის ფარგლებში 2021 წლის დეკემბერში კონგრესთან თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმის ხელმომწერი საქართველოს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ წარდგენილი ინიციატივების თანადაფინანსებას. პროექტის ფარგლებში შერჩეულმა მუნიციპალიტეტებმა ჩამოაყალიბეს ადგილობრივ თვითმმართველობათა ფორუმი, რაც მიზნად ისახავს ადგილობრივი პოლიტიკის დოკუმენტებში ადამიანის უფლებების, გენდერული თანასწორობისა და მრავალფეროვნების უზრუნველყოფას, ასევე, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ნაკლებად წარმოდგენილი ჯგუფების ჩართულობის ხარისხის გაზრდას.

კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი წინადადებების ამოცანაა ადგილობრივ საჯარო ცხოვრებაში თანასწორობისა და მრავალფეროვნების უზრუნველყოფა, ასევე, ნაკლებად წარმოდგენილი ჯგუფების ჩართულობის გაძლიერება (იძულებით გადაადგილებული, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, უმცირესობებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლები). წინადადებები მიზნად უნდა ისახავდეს ადგილობრივ დონეზე ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიული სამოქალაქო მონაწილეობის გაძლიერებას და ასევე, გადაწყვეტილების მიღების პროცესზე საზოგადოებრივი სექტორისა და მოქალაქეების მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენის უზრუნველყოფას.

II. ევროპის საბჭოს პროექტის შესახებ ინფორმაცია

პროექტი მიზნად ისახავს მოქალაქეთა მონაწილეობის ინსტიტუციური ჩარჩოების გაძლიერებას, ასევე, ადგილობრივი ხელისუფლების, მათი ეროვნული ასოციაციისა და სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელშეწყობას ადამიანის უფლებების, განსაკუთრებით, გენდერული თანასწორობის დაცვისა და დისკრიმინაციის აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად, რათა მათ ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესზე რეალური გავლენის მოხდენა შეძლონ. პროექტი ასევე ითვალისწინებს შემდეგი მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას - 5 (გენდერული თანასწორობა), 10 (შემცირებული უთანასწორობა), 16 (მშვიდობა, სამართლიანობა, ძლიერი ინსტიტუციები), 11 (მდგრადი ქალაქები და დასახლებები) 17 (თანამშრომლობა მიზნების მისაღწევად).

პროექტის მიზანია ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისა (ადგილობრივად არჩეული წარმომადგენლებისა და მუნიციპალური თანამშრომლების) და ათეას მხარდაჭერა მათი შესაძლებლობების გაძლიერების პროცესში, რათა მათ შეძლონ ადგილობრივ დონეზე ადამიანის უფლებების პატივისცემა, უკეთ დაცვა და დაკისრებული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება, ასევე, ადამიანის უფლებების საკითხებზე ეროვნულ დონეზე დაინტერესებულ მხარეებთან და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან დიალოგი. პროექტის პარტნიორებია ათეა,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

პროექტის ბენეფიციარებია ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, როგორც ვალდებულების მქონენი (ადგილობრივად არჩეული წარმომადგენლები და მუნიციპალური თანამშრომლები) და მოქალაქეები, როგორც უფლების მატარებელნი, განსაკუთრებით, ქალები, ახალგაზრდები და მოწყვლადი / ნაკლებად წარმოდგენილი ჯგუფები, როგორებიცაა იძულებით გადაადგილებული, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, უმცირესობები, ბავშვები და მოხუცებულები.

პროექტი დასრულდება 2023 წლის 31 დეკემბერს.

III. ხელმისაწვდომი ბიუჯეტი

ევროპის საბჭო მიზნად ისახავს სამიზნე ადგილობრივი ხელისუფლების თითოეული წარმომადგენლისთვის არაუმეტეს 20,000 (ოცი ათასი) ლარის ოდენობის ათამდე (10) გრანტის გაცემას. აღნიშნული კონკურსის ფარგლებში ხელმისაწვდომი სრული ბიუჯეტი დაახლოებით 200,000 (ორასი ათასი) ლარს შეადგენს.

მიღებულ საპროექტო განაცხადებისა და წინადადებების შესახებ კონკურსის საბოლოო შედეგებზე დაყრდნობით ევროპის საბჭო უფლებას იტოვებს თავი შეიკავოს ხელმისაწვდომი ოდენობის სრულად გაცემისგან.

IV. მოთხოვნები

1. ზოგადი ამოცანა

საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსდება ადგილობრივი ინიციატივები, რაც მიზნად ისახავს ადგილობრივ საჯარო ცხოვრებაში ადამიანის უფლებების პრინციპების, თანასწორობისა და მრავალფეროვნების დაცვის გაძლიერებას, ასევე, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ნაკლებად წარმოდგენილი თემის, განსაკუთრებით, იძულებით გადაადგილებული, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების, უმცირესობებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლების ჩართულობის ხარისხის გაზრდას.

2. მოქმედების საშუალებები

ინიციატივა შეიძლება მოიცავდეს ქვემოთ მოცემულ ერთ ან რამდენიმე მოქმედების საშუალებას (სია არ არის ამომწურავი):

ა. შესაბამისი ზომების მიღება გენდერული თანასწორობის გაზრდისა და ნაკლებად წარმოდგენილი ჯგუფების, კერძოდ, უმცირესობების, იძულებით გადაადგილებული პირებისა და სხვა მოწყვლადი კატეგორიების ჩართულობის მიზნით.

სტრატეგიების, სამოქმედო გეგმებისა და სხვა ზომების (მეთოდოლოგიებისა და ინსტრუმენტების ჩათვლით) ან / და პოლიტიკის შემუშავება, იმპლემენტაცია და მონიტორინგი იმისთვის რომ:

- გაიზარდოს ნაკლებად წარმოდგენილი ჯგუფების (მაგ. უმცირესობების, ახალგაზრდების, ქალებისა და სხვა) გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობა;
- გაიზარდოს მოქალაქეების ცნობიერების ხარისხი ადამიანის უფლებებზე ან/და გენდერულ თანასწორობაზე, ასევე, ადგილობრივ დონეზე შესაბამის სერვისებთან დაკავშირებით;
- ბიუჯეტის შედგენისას მოხდეს გენდერის ფაქტორის გათვალისწინება და ასევე, უზრუნველყოფილი იქნას ადგილობრივი გენდერული თანასწორობის საბჭოებისა და მუნიციპალიტეტებში გენდერის საკითხებზე მრჩევლების პოლიტიკასა და ბიუჯეტის დაგეგმარება - იმპლემენტაციის დროს ჩართულობა;
- ახალი ან სახეცვლილი მონაცემთა შეგროვების მეთოდების დანერგვა, პილოტირება ან მათი ეფექტურობის შეფასება, გენდერის და სოციალური ფაქტორების (მაგ. ასაკი, ეთნიკურობა, და ა.შ.) ნიშნით დახარისხების ჩათვლით.

ბ. შესაბამისი ზომების მიღება, რათა მოხდეს დისკრიმინაციის პრევენცია და აღმოფხვრა, რაც ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში თანაბარ მონაწილეობასა და წარმომადგენლობას უზრუნველყოფს, და ასევე, გათვალისწინებული იქნება სხვადასხვა საჭიროებები და მგრძნობელობები.

სტრატეგიების, სამოქმედო გეგმებისა და სხვა ზომების (მეთოდოლოგიებისა და ინსტრუმენტების ჩათვლით) ან / და პოლიტიკის შემუშავება, იმპლემენტაცია და მონიტორინგი იმისთვის რომ:

- მოხდეს თემატური საბჭოების (გენდერული თანასწორობის საბჭო, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭო, ა.შ.) შესაძლებლობების გაძლიერება და ეფექტურობის გაზრდა;
- მოხდეს მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენლების (მაგ. უმცირესობები) წახალისება მონაწილეობა მიიღონ აღნიშნული საბჭოების საქმიანობაში;
- შიდა ანტი-დისკრიმინაციული პოლიტიკის და ეთიკის კოდექსის ან / და ქცევის განაწესის შემუშავება, იმპლემენტაცია ან / და გადახედვა.

3. იმპლემენტაციის პერიოდი

პროექტების განხორციელება უნდა დაიწყოს 2023 წლის 17 იანვარს და უნდა დასრულდეს <u>არაუგვიანეს</u> 2023 წლის 31 აგვისტოსი. დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ, იხილოთ **სავარაუდო განრიგი თავში VIII.**

ანგარიშგების მხრივ დაწესებული მოთხოვნები უნდა შესრულდეს **არაუგვიანეს** 2023 წლის 1 ოქტომბრისა.

წინადადებების წარდგენის თარიღამდე დასრულებული პროექტები ავტომატურად ამოირიცხება განსახილველი განაცხადების სიიდან. განაცხადების ჩაბარებამდე ან საგრანტო ხელშეკრულების ხელმოწერამდე დაწყებული პროექტებისთვის მხოლოდ იმ ხარჯების დაფარვა იქნება შესაძლებელი, რაც გაწეულ იქნა საგრანტო განაცხადის ხელმოწერის შემდგომ.

4. სამიზნე ჯგუფები

პროექტის სამიზნე ჯგუფები უნდა იყვნენ:

- ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები (ადგილობრივად არჩეული წარმომადგენლები ან / და მუნიციპალური თანამშრომლები);
- მოქალაქეები;
- ადგილობრივ დონეზე სხვა შესაბამისი დაინტერესებული მხარეები.

5. ბიუჯეტთან დაკავშირებული მოთხოვნები

საპროექტო წინადადებას უნდა ახლდეს მაქსიმუმ 20,000 (ოცი ათასი) ლარის ოდენობის ბიუჯეტის სამუშაო ვერსია (იხილეთ **ბიუჯეტის ნიმუში II დანართის სახით**)

სავარაუდო ბიუჯეტი უნდა შეესაბამებოდეს წარმოდგენილ აქტივობებს. ის უნდა იყოს თანმიმდევრული, ცხადი, სრული და ხარჯთეფექტური. მასში არ უნდა იყოს გათვალისწინებული მუნიციპალურ თანამშრომლებთან დაკავშირებული ხარჯები. ამას გარდა, ტექნიკურ სერვისებზე არ უნდა დაიხარჯოს სავარაუდო ბიუჯეტის 35%-ზე მეტი.

თითოეული გრანტიორი ვალდებულია ასევე წვლილი შეიტანოს პროექტის განხორციელებაში ან საკუთარი რესურსებით ან მესამე მხარის მიერ გაწეული კონტრიბუციით. თანადაფინანსება შესაძლოა მოხდეს ფინანსური ან ადამიანური რესურსების გამოყენებით, ნატურალური (in-kind) კონტრიბუციით, ან პროექტით გენერირებული შემოსავლებით. ასეთ შემთხვევებში, შესაბამისი ინფორმაცია ცხადად უნდა იყოს ასახული სავარაუდო ბიუჯეტის ფორმაში.

6. ზოგადი ამოცანიდან გამომდინარე უპირატესობა მიენიჭებათ:

- ინიციატივებს, რომლებიც წარმოდგენილია მთიანი ან ძნელად მისადგომი მუნიციპალიტეტებიდან;
- ინიციატივებს, რომელიც მონაწილეობითი პროცესის შედეგად შემუშავდა.

7. შემდგომი ტიპის ქმედებები <u>არ</u> იქნება გათვალისწინებული:

- პროექტები / აქტივობები, რომელებიც ითვალისწინებენ მესამე მხარის ფინანსურ მხარდაჭერას (გრანტის ხელახლა გაცემის (re-granting) სქემები);
- პროექტები / აქტივობები, რომლებიც მხოლოდ ან ძირითადად ინდივიდუალურ სასწავლო ან ტრენინგებისთვის განკუთვნილ გრანტებს ეხება;
- პროექტები / აქტივობები, რითაც გათვალისწინებულია პოლიტიკური პარტიების მხარდაჭერა.

8. დაფინანსების პირობები:

თითოეული გრანტისთვის ფინანსები შემდეგნაირად უნდა გადანაწილდეს:

- საგრანტო ხელშეკრულების ორივე მხარის მიერ ხელმოწერის შემდგომ, ხელმისაწვდომი თანხის 80%-ის გადახდა მოხდება გრანტიორისთვის ან ძირითადი გრანტიორისთვის, კონსორციუმის შემთხვევაში.
- გრანტიორისთვის ან კონსორციუმის შემთხვევაში, ძირითადი გრანტიორისთვის ბალანსის (დარჩენილი თანხის) დარიცხვა მოხდება გაწეული ხარჯების გათვალისწინებით, ევროპის

საბჭოსთვის გრანტის განხორციელების ნარატიული და ფინანსური ანგარიშების წარდგენისა და ამ უკანასკნელის მხრიდან დადასტურების მიღების შემდგომ.

9. ანგარიშგებასთან დაკავშირებული მოთხოვნები:

- **ნარატიული ანგარიში** - სავალდებულოა ნარატიული ანგარიში მოიცავდეს გრანტის გამოყენების შესახებ ინფორმაციასა და თითოეული აქტივობაში ჩართული პირების რეგისტრაციის ასლს, მონაწილეების სახელებისა და ხელმოწერების ჩათვლით.

- **ფინანსური ანგარიში** - სავალდებულოა მოიცავდეს ინგლისურ ენაზე წარმოდგენილ ანგარიშს იმ ვალუტაში, რაც საგრანტო ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული (ეროვნული ვალუტა - ლარი), რითაც დასტურდება აქტივობების იმპლემენტაციის მიზნით გაწეული ხარჯები, მოიცავს გრანტიორის მიერ წარმოდგენილი ფინანსურ საკითხებზე პასუხისმგებელი თანამშრომლის ავტორიზაციასა და ასევე, თანდართული აქვს „შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაციის ასლები“ (იხილეთ ქვემოთ). ევროპის საბჭო უფლებას იტოვებს მოითხოვოს ანგარიშფაქტურის (ინვოისის) მოკლე თარგმანი ინგლისურ ენაზე. იმ შემთხვევაში თუკი არსებობს გრანტიორის მხრიდან დოკუმენტების დედნების შენახვის სამართლებრივი საფუძველი, მან ფინანსურ ანგარიშს უნდა დაურთოს დამოწმებული ასლები.

  „საჭირო დამატებითი დოკუმენტაციის დედნები“ მოიცავს ხელმოწერილ ხელშეკრულებებს, ანგარიშფაქტურებს (ინვოისებს) და შესრულებული სამუშაოს შესახებ მიღება-ჩაბარების აქტებს (ყველა ტრანსაქციაზე). ამას გარდა, ასეთი პრაქტიკის არსებობის შემთხვევაში, გრანტიორმა უნდა წარმოადგინოს ყველა ტრანზაქციაზე გადახდის ავტორიზაცია, და ასევე, გადახდის სანდო მტკიცებულება (ავტორიზებული საგადახდო დავალება და საბანკო ამონაწერი).

  რაც შეეხება მრგვალ მაგიდებს / კონფერენციებს, „საჭირო დამატებითი დოკუმენტაციის დედნები“ მოიცავს პროგრამას, სადაც მოცემულია ღონისძიების სახელწოდება, თარიღები, ჩატარების ადგილი და განრიგი; ასევე, ღონისძიების ფასილიტატორის სახელს, მონაწილეთა ხელმოწერილ სიას, ფართით (მაგალითად, სასტუმროს) სარგებლობასთან დაკავშირებით მფლობელთან გაფორმებულ ხელშეკრულებას, ასევე, ფართის მფლობელის მიერ მოწოდებულ ანგარიშფაქტურებს (ინვოისებს) მონაწილეთა კვების და სხვა მომსახურების ხარჯების დაფარვის მიზნით, დაბოლოს, ღონისძიებით მიღწეული შედეგების შედეგებზე ანგარიშს (იხილეთ შესაბამისი ნაწილი ნარატიული ანგარიშგების შესახებ).

  რაც შეეხება საკონსულტაციო მომსახურებას, „საჭირო დამატებითი დოკუმენტაციის დედნები“ მოიცავს უშუალოდ დამდგარი შედეგების შესახებ მტკიცებულებებს, ექსპერტებთან და კონსულტანტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს, სადაც დაწვრილებით არის მოცემული მათ მიერ შესასრულებელი საქმიანობის აღწერილობა, შესრულების / მოწოდების შემდგომ გამოწერილ ანგარიშფაქტურებს (ინვოისებს) (კონსულტანტების სპეციალიზაცია შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს იმ აქტივობების ბუნებასთან, რის გამოც მოხდა მათთან ხელშეკრულებების გაფორმება).

  ექსპერტებისა და მონაწილეების სამგზავრო / საცხოვრებელ ხარჯებთან დაკავშირებული „საჭირო დამატებითი დოკუმენტაციის დედნები“ მოიცავს სამოგზაურო სააგენტოსთან მგზავრობისა და სასტუმროში განთავსების შესახებ გაფორმებულ ხელშეკრულებებს (სადაც

არის ამის საჭიროება), სამოგზაურო სააგენტოს მიერ გაცემულ ანგარიშფაქტურებს (ინვოისებს) სადაც მითითებულია მგზავრობის მიმართულება, თარიღები, ბილეთის ღირებულება და მგზავრების სახელები, ასევე, ღონისძიების პროგრამა ექსპერტების სახელებითა და მონაწილეთა ხელმოწერილი სიით.

ზემოთ მოცემული აღწერილობა არ არის ყოვლისმომცველი / ამომწურავი. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუკი გრანტიორს ან ძირითად გრანტიორს (კონსორციუმის შემთხვევაში) გაუჩნდება ორაზროვნება / ეჭვი ცნებასთან „საჭირო დამატებითი დოკუმენტაციის დედნები“ დაკავშირებით, უნდა მიმართოს ევროპის საბჭოს დამატებითი ახსნის მოწოდების თხოვნით.

V. როგორ გავაკეთოთ განაცხადი?

1. წარსადგენი დოკუმენტაცია:

თითოეული განაცხადი უნდა მოიცავდეს:

- შევსებულ და ხელმოწერილ **აპლიკაციის ფორმას** (იხილეთ დანართი I)
- **წინასწარ შედგენილ ბიუჯეტს** (დანართში II მოცემული ნიმუში)
- სხვა დამატებით დოკუმენტაციას:
- **რეზიუმეებს** (Europass-ის ფორმატში, Word ან PDF ფაილებად):
  1. პირისთვის, ვინც პროექტის კოორდინაციაზე / მენეჯმენტზე არიან პასუხისმგებელი;
  2. პირები, ვინც უშუალოდ იქნებიან ჩართულები პროექტის იმპლემენტაციის პროცესში;
  3. ექსპერტ(ებ)ი, ვინც პროექტის იმპლემენტაციის პროცესში იქნებ(იან)ა ჩართულ(ებ)ი.

არასავალდებულო, მაგრამ სასურველია: სხვა მასალები, რაც მიიჩნევა განმცხადებლის სანდოობის ხარისხის გაზრდისთვის რელევანტურად და რაც შესაძლოა იყოს საპროექტო განაცხადის დამატებითი ღირებულება: კვლევები, სტრატეგიები, სახელმძღვანელოები, და სხვა საინფორმაციო მასალები.

ამასთან ერთად, წარმოადგინეთ აღნიშნული დოკუმენტაციის სიაც.

განაცხადის მთლიანი პაკეტი უნდა ჩაბარდეს ინგლისურ ენაზე. ქართული თარგმანის წარდგენა სავალდებულო არ არის, თუმცა, შესაძლებელია საინფორმაციო მიზნებიდან გამომდინარე. ინგლისური ვერსია გამოყენებული იქნება შეფასების დროს.

თუკი თარგმანი ხელმისაწვდომი არ არის, სავალდებულო არ არის „სხვა მასალების“ თარგმნა ინგლისურ ენაზე, მათი გაზიარება მხოლოდ ქართულ ენაზე საკმარისია.

იმ განაცხადები განხილვა, რომლებიც სრული არ არის წარმოდგენილი, არ მოხდება.

2. კითხვები

ზოგადი ინფორმაციის ნახვა შესაძლებელია ევროპის საბჭოს ვებ-გვერდზე: https://www.coe.int/en/web/congress/georgia და ასევე, ევროპის საბჭოს თბილისის ოფისის ვებ-გვერდზე: www.coe.int/tbilisi.

სხვა კითხვები, რომელიც წინადადებების ამ კონკრეტულ კონკურსს ეხება განაცხადის ჩაბარებამდე სულ მცირე ერთი კვირით ადრე (ინგლისურ ან ქართულ ენაზე) უნდა გაიგზავნოს აღნიშნული ელ-ფოსტის მისამართზე: georgia.localgov@coe.int, დასათაურებაში Questions_Local Initiatives_ განმცხადებელი მუნიციპალიტეტის დასახელება ინგლისურ ენაზე მითითებით.

3. განაცხადის ჩაბარების ბოლო ვადა

ყველა განმცხადებლის მიერ **შევსებული და ხელმოწერილი** განაცხადის ფორმა, სხვა დამატებით დოკუმენტაციასთან ერთად, გამოგზავნილ უნდა იქნას ელექტრონულად (Word ან / და PDF ფორმატში) შემდეგი ელექტრონული ფოსტის მისამართზე: georgia.localgov@coe.int, დასათაურებაში Applications_Local Initiatives_განმცხადებელი მუნიციპალიტეტის დასახელება ინგლისურ ენაზე მითითებით.

განაცხადის ჩაბარება უნდა მოხდეს **2022 წლის 24 ნოემბრამდე (შუაღამე / ცენტრალური ევროპის დრო (CET)**. ის განაცხადები, რომლებიც წარდგენილი იქნება აღნიშნული თარიღის შემდეგ, არ განიხილება.

4. განაცხადის დოკუმენტის ცვლილება, ჩანაცვლება და მოდიფიცირება

განაცხადის დედანის ფორმატის ან დოკუმენტის ნებისმიერი სახის ცვლილება თუ მოდიფიცირება გამოიწვევს მის განსახილველი განაცხადების სიიდან დაუყოვნებლივ ამორიცხვას / დაწუნებას.

VI. შეფასებისა და შერჩევის პროცედურა

წარმოდგენილი პროექტები შეფასდება სულ მცირე ოთხი წევრისაგან შემდგარი შესაბამისი კომიტეტის მიერ, რომელშიც წარმოდგენილი იქნებიან ევროპის საბჭოს კონგრესის სამდივნო, ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციას, სახალხო დამცველის აპარატი და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

პროცედურა უნდა ეფუძნებოდეს გრანტის გაცემის პროცედურების ძირითად პრინციპებს, რაც არის გამჭვირვალობა, უკუძალის არქონა, არაკუმულაციური ხელშეკრულება, არაკომერციულობა, თანადაფინანსება და არა-დისკრიმინაციული მიდგომა, რაც შესაბამისობაშია ევროპის საბჭოს 2015 წლის 16 დეკემბრის 1374 წესთან.

განმცხადებლებმა და მათ მიერ წარდგენილმა პროექტებმა უნდა დააკმაყოფილოს ყველა ქვემოთ მოცემული კრიტერიუმი:

1. დაუშვებლობის კრიტერიუმები:

განმცხადებლის გარიცხვა უნდა მოხდეს გრანტის გაცემის პროცედურებიდან, სადაც ისინი ან, იურიდიული პირის შემთხვევაში მათი მფლობელ(ებ)ი ან აღმასრულებელი ოფიც(ერ)რებ(ი):

ა. იქნენ პასუხისგებაში მიცემული საბოლოო გადაწყვეტილების საფუძველზე ერთი ან რამდენიმე ბრალდებით: სისხლის სამართლის დანაშაულში მხილებული ორგანიზაციის წარმომადგენლობა, კორუფცია, თაღლითობა, ფულის გათეთრება, ტერორიზმის დაფინანსება, ან დანაშაულებები, რაც ტერორისტულ აქტივობებს უკავშირდება, ბავშვთა უკანონო შრომა, ან ადამიანით ვაჭრობა;

ბ. იმყოფებიან გაკოტრების, ლიკვიდაციის, საქმიანობის შეჩერების, გადახდისუუნარობის ან სხვა მსგავს სიტუაციაში, რაც განპირობებულია მსგავსი ტიპის პროცედურით ან წარმოადგენს მსგავსი ტიპის პროცედურის საგანს;

გ. აქვთ ერთხელ გადაწყვეტილი საქმის განმეორებითი განხილვის დაუშვებლობის პრინციპის გამოცდილება, რითაც დადგინდა ბრალეულობა, რაც თავის მხრივ გავლენას ახდენს მათ პროფესიულ სამართლიანობაზე ან ადგენს სერიოზულ პროფესიულ არამართლზომიერ ქცევას;

დ. არ ასრულებენ მათზე დაკისრებულ ვალდებულებებს სოციალური დაცვის, საშემოსავლო და საბაჟო გადასახადების გადახდის მხრივ ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

ე. წარმოადგენენ ერთეულს, რომელიც თავს არიდებს გადასახადების გადახდას, სოციალური ან სხვა სამართლებრივი ვალდებულებების შესრულებას (ცარიელი ოფშორული კომპანია / empty shell company), მანამდე ჰქონიათ ამ ტიპის ერთეულის ჩამოყალიბების გამოცდილება ან იმყოფებიან შექმნის პროცესში.

ვ. აქვთ ევროპის საბჭოს ან სხვა საჯარო ფონდების არასწორად მართვის გამოცდილება.

აღნიშნული განაცხადის ფორმის ხელმოწერით, განმცხადებლები ადასტურებენ, რომ არ იმყოფებიან ზემოთ ჩამოთვლილიდან რომელიმე სიტუაციაში (იხილეთ დანართი **I, თავი 12 დეკლარაცია)**

ევროპის საბჭო უფლებას იტოვებს განმცხადებელს მოგვიანებით მოსთხოვოს ქვემოთ მოცემული დოკუმენტაცია:

- ა, ბ, გ, ვ პუნქტებისთვის, ამონარიდი გადაწყვეტილებიდან ან უქონლობის შემთხვევაში, მისი შემცვლელი დოკუმენტაცია, რომელიც გაცემულია განმცხადებლის ქვეყანაში მოქმედი კომპეტენტური სასამართლო ან ადმინისტრაციული ხელისუფალის მიერ, რაც ადასტურებს იმას, რომ დაწესებული მოთხოვნები შესრულებულია.

- დ პუნქტისათვის, სერტიფიკატი, რომელიც გაცემულია განმცხადებლის ქვეყანაში მოქმედი კომპეტენტური ხელისუფალის მიერ.

2. დასაშვებობის კრიტერიუმები:

იმისთვის, რომ განმცხადებელმა გადალახოს დასაშვებობის კრიტერიუმები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- უნდა იყოს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელი, რომელიც ასევე არის პროექტის ფარგლებში ჩამოყალიბებული ადგილობრივ თვითმმართველობათა ფორუმის წევრი.
- უნდა ჰქონდეს შესაბამის მუნიციპალიტეტში საპროექტო განაცხადში მოცემული აქტივობების განხორციელების შესაძლებლობა.
- უნდა ჰქონდეს საკმარისი ფინანსური შესაძლებლობა (დაფინანსების სტაბილური და საკმარისი წყაროები), რათა დადგენილ ვადებში იყოს ქმედითუნარიანი და საკუთარი

დამატებითი რესურსებით (ადამიანური ან ნატურალური კონტრიბუციით) განახორციელოს საქმიანობა.

- უნდა ჰქონდეს, ჰყავდეს შესაბამისი თანამშრომლები, რომლებსაც საპროექტო განაცხადში მოცემული აქტივობების განსახორციელებლად საკმარისი ოპერაციული და პროფესიული შესაძლებლობები აქვ(თ)ს.
- უნდა ჰქონდეს საბანკო ანგარიში.

ერთდროულად რამდენიმე განაცხადის წარდგენა დაუშვებელია და გამოიწვევს ყველა განაცხადის გარიცხვას.

3. გრანტის გაცემის კრიტერიუმები

განაცხადების შეფასება მოხდება შემდეგ კრიტერიუმებზე დაყრდნობით:

- ინიციატივის რელევანტურობა და დამატებითი ღირებულება ადგილობრივ საჯარო ცხოვრებაში ადამიანის უფლებების, თანასწორობისა და მრავალფეროვნების პრინციპების დანერგვის („მეინსტრიმინგის“) და ასევე, ნაკლებად წარმოდგენილი ჯგუფების ჩართულობის გაძლიერების მიმართულებით. ინიციატივებს, რომელიც წარმოდგენილია მთიანი ან ძნელად მისადგომი მუნიციპალიტეტებიდან მიენიჭებათ პრიორიტეტი. ფორუმის ფარგლებში განხორციელებული საბაზისო შეფასების დროს იდენტიფიცირებულ საკითხებთან გამოკვეთილი კავშირი / ბმა მიიჩნევა განაცხადის სიძლიერედ (**40**%)
- განაცხადისა და სავარაუდო ბიუჯეტის ხარისხი, სიზუსტე, სიცხადე, სისრულე და ხარჯთეფექტურობა (**20**%).
- ინიციატივების შემუშავებაში, იმპლემენტაციასა და მონიტორინგში საგრანტო კონკურში მოცემული შესაბამისი სამიზნე ჯგუფების ჩართულობა და ასევე, მდგრადობის გარანტიების არსებობა (**20**%).
- ადგილობრივი ადმინისტრაციის მიერ გამოყოფილი რესურსები: ბიუჯეტი, დრო, თანამშრომლები, პროექტის დასრულების შემდგომ გაგრძელების შესახებ მყარი გადაწყვეტილება, ა.შ. (**10**%)
- აპლიკანტი ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლისა და თანამშრომლების გამოცდილება და პროფესიული ცოდნა (**10**%).

VII. გადაწყვეტილების შეტყობინება და საგრანტო ხელშეკრულების ხელმოწერა

შერჩევის პროცესის დასრულებისთანავე, ყველა განმცხადებელს მიეწოდება ინფორმაცია მათ განაცხადზე გამოტანილ საბოლოო გადაწყვეტილებაზე, ასევე, ეცნობებათ შემდგომი ნაბიჯების შესახებ.

შერჩეული გრანტიორები მათი სამართლებრივი ვალდებულებების ფორმალიზების მიზნით, მოწვეული იქნებიან საგრანტო ხელშეკრულების ხელმოსაწერად (საინფორმაციო მიზნებისთვის იხილეთ დანართი III). **პოტენციური განმცხადებლები უნდა გაეცნონ ხელშეკრულების სამუშაო ვერსიას, განსაკუთრებით, იმ ნაწილებს, რომლებიც ეხება გადახდასა და ანგარიშების წარდგენასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს.**

VIII. საორიენტაციო განრიგი

ფაზები	საორიენტაციო თარიღები
კონკურსის გამოცხადება	2022 წლის 24 ოქტომბერი
კითხვა - პასუხის ონლაინ სესიები	2022 წლის 8 და 15 ნოემბერი
განაცხადის ჩაბარების ბოლო ვადა	2022 წლის 24 ნოემბერი
კონკურსის საბოლოო შედეგების განმცხადებლებისთვის გაზიარება	2022 წლის 21 დეკემბერი
საგრანტო ხელშეკრულებების ხელმოწერა	2023 წლის 17 იანვარი
განხორციელების პერიოდი	2023 წლის 17 იანვარი – 31 აგვისტო
ანგარიშის ჩაბარების ბოლო ვადა	2023 წლის 1 ოქტომბერი

***

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE

გრანტის გაცემის პროცედურა

აპლიკაციის ფორმა

(დანართი I)

საგრანტო კონკურსი პროექტისთვის "მონაწილეობითი დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების გაძლიერება ადგილობრივ დონეზე საქართველოში"

ადგილობრივი ინიციატივები თანასწორობის, მრავალფეროვნებისა და ჩართულობის წახალისებაზე ადგილობრივ საჯარო ცხოვრებაში საქართველოში

როგორ შევავსოთ აპლიკაციის ფორმა?

თითოეული უჯრა შეავსეთ მოთხოვნილი ინფორმაციით. უჯრის ზომა შეყვანილი ტექსტის მოცულობით განისაზღვრება.

ყველა ველის შევსების შემდეგ, ამობეჭდეთ აპლიკაციის ფორმა, მოაწერეთ ხელი და გამოაგზავნეთ საგრანტო კონკურსის შესახებ მოთხოვნების შესაბამისად.

1. განმცხადებელი	
ოფიციალური დასახელება ►	
სამართლებრივი ფორმა ►	
ქვეყანა ►	
სრული მისამართი ►	
ინტერნეტ გვერდი (არსებობის შემთხვევაში) ►	
პირ(ებ)ის სახელ(ებ)ი, ვინც შეიძლება იმოქმედოს განმცხადებლის დავალებით და შესაბამისად დაეკისროს კანონით განსაზღვრული ვალდებულებები (მიუთითეთ სახელ(ები)ი და პოზიცი(ები)ა) ►	

Commented [DLAPIL1]: კონსორციუმის შემთხვევაში, დაამატეთ განმცხადებელი'-ის იმდენივე უჯრა, რამდენიც გრანტის მიმღებია / გრანტიორია

2. საკონტაქტო ინფორმაცია	
საკონტაქტო პირი ►	
საკონტაქტო პირის პოზიცია ►	
ელ-ფოსტის მისამართი ►	
ტელეფონის ნომერი ►	

Commented [DLAPIL2]: კონსორციუმის შემთხვევაში, მიუთითეთ მხოლოდ ძირითადი გრანტის მიმღების / გრანტიორის საკონტაქტო ინფორმაცია

3. საბანკო მონაცემები	
ბანკის დასახელება ►	
ბანკის მისამართი ►	
ანგარიშის მფლობელის სახელი ►	
ანგარიშის ნომერი სრულად (საბანკო კოდის ჩათვლით) ►	
IBAN (ან BIC კოდი) ►	

Commented [DLAPIL3]: კონსორციუმის შემთხვევაში, მიუთითეთ მხოლოდ ძირითადი გრანტის მიმღების / გრანტიორის საბანკო მონაცემები

4. პროექტის მოკლე მიმოხილვა	
სახელწოდება ►	ტექსტი შეიყვანეთ აქ
სავარაუდო ხანგრძლივობა ► *(არაუმეტეს 6 თვისა, 2023 წლის იანვარი - აგვისტოს მანძილზე)*	ტექსტი შეიყვანეთ აქ

სამიზნე ჯგუფები და ბენეფიციარები ►	ტექსტი შეიყვანეთ აქ
მოსალოდნელი შედეგები ►	ტექსტი შეიყვანეთ აქ

5. ბოლო პერიოდში განხორციელებული აქტივობები (მაქსიმუმ ½ გვერდი)

ქვემოთ აღწერეთ ის ძირითადი პროექტები, რომელიც ადგილზე ბოლო 3 (სამი) წლის მანძილზე ადამიანის უფლებების, გენდერული თანასწორობის, ანტი-დისკრიმინაციის და სხვა მსგავსი საკითხების ირგვლივ განახორციელეთ ან ჯერ კიდევ ახორციელებთ.
ქვემოთ მიუთითეთ ადგილობრივი ან საერთაშორისო ორგანიზაციებისგან მიღებული გრანტ(ებ)ი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ▼

6. პროექტის აღწერა (მაქსიმუმ ½ გვერდი)

ქვემოთ მიუთითეთ პროექტის შესახებ **საკვანძო ინფორმაცია**, მისი **გავლენა** (ზოგადი ამოცანა) და **მოსალოდნელი შედეგები** (კონკრეტული ამოცანები). გთხოვთ, ახსენით ის, თუ როგორ იქნება შესაძლებელი პროექტის განხორციელებით ადგილობრივ საჯარო ცხოვრებაში თანასწორობის, მრავალფეროვნებისა და ჩართულობის წახალისება. გთხოვთ, ასევე ცხადად ახსნათ კავშირი საბაზისო შეფასების შედეგად თქვენ მუნიციპალიტეტში იდენტიფიცირებულ **შესაძლებლობებსა და საჭიროებებთან**▼

7. შემოთავაზებული აქტივობები და მათი მდგრადობა (მაქსიმუმ 2 გვერდი)

გთხოვთ, თითოეულ აქტივობაზე მიუთითოთ **სახელწოდება, ხანგრძლივობა, კონკრეტული ამოცანა, დეტალური აღწერა, განხორციელების საშუალებები, შეფასების ინსტრუმენტები (არსებობის შემთხვევაში) და სამიზნე ჯგუფ(ებ)ი**. შედეგები უნდა იყოს რეალისტური და გაზომვადი. აქტივობები უნდა იყოს ქრონოლოგიურად დალაგებული სავარაუდო თარიღების მითითებით (შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში)
დაბოლოს, გთხოვთ, ქვემოთ მიუთითოთ, ის თუ როგორ იქნება უზრუნველყოფილი პროექტის დასრულების შემდგომ შედეგების **მდგრადობა**▼

აღნიშნული განყოფილების შევსებამდე, გთხოვთ, გაითვალისწინოთ შემდეგი სახელმძღვანელო კითხები:

- როგორ უზრუნველყოფენ შემოთავაზებული აქტივობები მოსალოდნელი შედეგების მიღწევას?
- რა არის აღნიშნული აქტოვობების თანმიმდევრობა?
- ვინ იქნება პასუხისმგებელი თითოეული აქტივობის განხორციელებაზე და რა იქნება მისი როლი პროექტში?
- როგორ იქნება უზრუნველყოფილი ადგილობრივი თემის პროექტის განხორციელებაში ჩართულობა?

- როგორ იქნება გენდერის ნიშნით წარმომადგენლობა უზრუნველყოფილი აქტივობების განხორციელების პროცესში?
- პროექტის დასრულების შემდგომ როგორ იქნება უზრუნველყოფილი მისი მდგრადობა?

8. გრანტიორის/კონსორციუმის პროფესიული ან ოპერაციული შესაძლებლობები (მაქსიმუმ ½ გვერდი)
ქვემოთ მიუთითეთ მუდმივი ან დროებითი **თანამშრომლების** რიცხვი, ვინც პროექტის განხორციელებაში იქნებიან ჩართულები. გთხოვთ, აღწეროთ ის, თუ **როგორ** მოხდება შემოთავაზებული აქტივობების იმპლემენტაცია (სადაც შესაძლებელია, მიუთითეთ მესამე მხარის ჩართულობა, პროვაიდერების ჩათვლით)▼

9. თანადაფინანსება (მაქსიმუმ ¼ გვერდი)
გთხოვთ ქვემოთ მიუთითოთ ის, თუ **როგორ** აპირებს განმცხადებელი პროექტის განხორციელებაში წვლილის შეტანას (საკუთარი რესურსებით ან მესამე მხარის კონტრიბუციის საფუძველზე). თანადაფინანსებას შესაძლოა ჰქონდეს ფულადი ან ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფის, ნატურალური (in-kind) კონტრიბუციის ან პროექტის, აქტივობის საფუძველზე გამომუშავებული შემოსავლის ფორმა▼

10. დეკლარაცია

აღნიშნული ფორმის ხელმოწერით, ხელმომწერი უფლებამოსილია წარმოადგენდეს გრანტიორს / კონსორციუმს, და აქვე, ადასტურებს განაცხადში მოცემული ინფორმაციის სისწორესა და იმას, რომ არ მიუღია ან არ ჩართულა ევროპის საბჭოს ფარგლებში სხვა რომელიმე საგრანტო კონკურსში იმ აქტივობების განსახორციელებლად, რაც მოცემული საგრანტო განაცხადის საგანს წარმოადგენს.

აქვე ვადასტურებ, რომ განმცხადებელი ორგანიზაცია ან მისი მფლობელ(ებ)ი ან აღმასრულებელი პირ(ებ)ი არ იმყოდებიან ისეთ მდგომარეობაში, რაც მათ ევროპის საბჭოს გრანტის გაცემის პროცედურების მიღმა დატოვებს, და შესაბამისად, ადასტურებს, რომ განმცხადებელი:

ა. არ იქნა პასუხისგებაში მიცემული საბოლოო გადაწყვეტილების საფუძველზე ერთ ან რამდენიმე ბრალდებით: სისხლის სამართლის დანაშაულში მხილებული ორგანიზაციის წარმომადგენლობა, კორუფცია, თაღლითობა, ფულის გათეთრება, ტერორიზმის დაფინანსება, ან დანაშაულებები, რაც ტერორისტულ აქტივობებს უკავშირდება, ბავშვთა უკანონო შრომა, ან ადამიანით ვაჭრობა;

ბ. არ იმყოფება გაკოტრების, ლიკვიდაციის, საქმიანობის შეჩერების, გადახდისუუნარობის ან სხვა მსგავს სიტუაციაში, რაც განპირობებულია მსგავსი ტიპის პროცედურით ან არ წარმოადგენს მსგავსი ტიპის პროცედურის საგანს;

გ. არ აქვს ერთხელ გადაწყვეტილი საქმის განმეორებითი განხილვის დაუშვებლობის პრინციპის გამოცდილება, რითაც დადგინდა ბრალეულობა რაც თავის მხრივ გავლენას ახდენს მის პროფესიულ სამართლიანობაზე ან ადგენს სერიოზულ პროფესიულ არამართლზომიერ ქცევას;

დ. ასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს სოციალური დაცვის, საშემოსავლო და საბაჟო გადასახადების გადახდის მხრივ ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

ე. არ იმყოფება და არ შეიძლება იყოს სიტუაციაში, რამაც შესაძლოა შექმნას ინტერესთა კონფლიქტი.

11. გრანტის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების გასაჯაროება

ევროპის საბჭო, 2015 წლის 16 დეკემბრის გრანტის გაცემის პროცედურების შესახებ #1374 წესის, 2.1.4 მუხლის შესაბამისად, საკუთარ ვებ-გვერდზე (იხილეთ აქ - https://www.coe.int/en/web/portal/grants) ყოველწლიურად აქვეყნებს გაცემული გრანტების შესახებ ინფორმაციას. გთხოვთ ქვემოთ მიუთითოთ გაქვთ თუ არა რაიმე საწინააღმდეგო გრანტის გაცემაზე გამოტანილი გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით (შეთანხმების სახელწოდება, შეთანხმების ბუნება და მიზანი, გრანტიორის სახელი და ადგილმდებარეობა, შეთანხმების საფუძველზე გაცემული გრანტის ოდენობა) განაცხადის წარმატების შემთხვევაში, გთხოვთ, ასევე მიუთითოთ არსებული წინააღმდეგობის მიზეზები ▼

12. ხელმოწერა

შეავსეთ ქვემოთ მოცემული გრაფა და ხელი მოაწერეთ ბოლო უჯრაში:

ძირითადი გრანტიორი:

სახელი და ხელმომწერი პირის სახელი ►	
განმცხადებელ ორგანიზაციაში ხელმომწერი პირის პოზიცია ►	
ხელმოწერის ადგილი და თარიღი ►	**ადგილი:** **თარიღი:**
განმცხადებელი ორგანიზაციის ხელმოწერა და ოფიციალური ბეჭედი ►	

Commented [DLAPIL4]: წაშალეთ, თუკი ინდივიდუალურად შემოგაქვთ განაცხადი

გრანტიორი:

სახელი და ხელმომწერი პირის სახელი ►	
განმცხადებელ ორგანიზაციაში ხელმომწერი პირის პოზიცია►►	
ხელმოწერის ადგილი და თარიღი ►	**ადგილი:** **თარიღი:**
განმცხადებელი ორგანიზაციის ხელმოწერა და ოფიციალური ბეჭედი ►	

Commented [DLAPIL5]: მხოლოდ ინდივიდუალური განმცხადებლის შემთხვევაში შეავსეთ აღნიშნული უჯრა თუკი განმცხადებელი კონსორციუმია, გთხოვთ, დაამატოთ იმდენივე უჯრა, რამდენი დამატებითი გრანტიორიცაა აღნიშნულ კონსორციუმში

ბიუჯეტი – საგრანტო ხელშეკრულება
(დანართი II)

მოქმედება	*<დააკონკრეტეთ>*
ადგილი	*<დააკონკრეტეთ>*
განხორციელების პერიოდი	*<დააკონკრეტეთ>*
ევროპის საბჭოსთან ანგარიშვალდებული ადმინისტრატორი	*<დააკონკრეტეთ>*
ვალუტა	*<დააკონკრეტეთ>*
ევროპის საბჭოს გრანტი	*<დააკონკრეტეთ ევროპის საბჭოს გრანტის საერთო ოდენობა>*
გრანტიორის კონტრიბუცია	*<[1]დააკონკრეტეთ>*

ხარჯი	**ერთეული**	**ერთეულის #**	**ერთეულის საშუალო ღირებულება**	**მონაწილეთა #**	**ბიუჯეტი**
1. ადამიანური რესურსები					
1.1. თანამშრომლები					
1.1.1 დააკონკრეტეთ	ერთეულის მიხედვით		0.00		0.00
1.1.2 დააკონკრეტეთ	ერთეულის მიხედვით		0.00		0.00
1.1.3 დააკონკრეტეთ	ერთეულის მიხედვით		0.00		0.00
1.2. ექსპერტები / კონსულტანტები					
1.2.1 დააკონკრეტეთ	ერთეულის მიხედვით		0.00		0.00
1.2.2 დააკონკრეტეთ	ერთეულის მიხედვით		0.00		0.00
1.2.3 დააკონკრეტეთ	ერთეულის მიხედვით		0.00		0.00
1.3. სამივლინებო ხარჯები (სადილი, ვახშამი, საცხოვრებელთან და გადაადგილებასთან დაკავშირებული ხარჯები)					
1.2.1 საერთაშორისო	სამივლინებო		0.00		0.00
1.2.2 ადგილობრივი	სამივლინებო		0.00		0.00
1 ადამიანური რესურსების ჯამი					**0.00**

2. მგზავრობა					
2.1 საერთაშორისო მგზავრობა	უკანა გზის მიხედვით		0.00		0.00
2.2 ადგილობრივი ტრანსპორტირება	მგზავრობის მიხედვით		0.00		0.00
2 მგზავრობის ხარჯების ჯამი					**0.00**
3. აღჭურვილობა და მარაგი					
3.1 დააკონკრეტეთ	ერთეულის მიხედვით		0.00		0.00
3.2 დააკონკრეტეთ	ერთეულის მიხედვით		0.00		0.00
3 აღჭურვილობისა და მარაგის ჯამი					**0.00**
4. საოფისე ინვენტარი					
4.1 საოფისე ინვენტარი	თვიურად		0.00		0.00
4.2 საოფისე ავეჯი და აღჭურვილობა	ერთეულის მიხედვით		0.00		0.00
4.3 სხვა მომსახურებები	თვიურად		0.00		0.00
4. საოფისე ინვენტარის ჯამი					**0.00**
5. სხვა ხარჯები და სერვისები					
5.1 პუბლიკაციები	ერთეულის მიხედვით		0.00		0.00
5.2 კვლევები	ერთეულის მიხედვით		0.00		0.00
5.3 თარგმანი	250 სიტყვა		0.00		0.00
5.4 ინტერპრეტაცია	პერსონის / დღის მიხედვით		0.00		0.00
5.5. კონფერენციები / სემინარები[2]					
5.5.1 დარბაზის ქირა	ღონისძიების მიხედვით		0.00		0.00
5.5.2 ინტერპრეტაციისათვის საჭირო აღჭურვილობის ქირა	ღონისძიების მიხედვით		0.00		0.00
5.5.3 ყავის შესვენებები	ღონისძიების მიხედვით		0.00		0.00
5.5.4 ადგილობრივი ტრანსპორტირება	ღონისძიების მიხედვით		0.00		0.00

5.5.5 მონაწილეთა სამივლინებო ხარჯები (სადილი, ვახშამი, საცხოვრებელი და ტრანსპორტირების ხარჯები)	ღონისძიებ ის მიხედვით		0.00		0.00
5.5.6 ხილვადობის მიზნით გასაწევი ხარჯები	ერთეულის მიხედვით		0.00		0.00
5 სხვა ხარჯებისა და სერვისების ჯამი					**0.00**
6. სხვა					
6.1 დააკონკრეტეთ	ერთეულის მიხედვით		0.00		0.00
6.2 დააკონკრეტეთ	ერთეულის მიხედვით		0.00		0.00
6 სხვა ჯამი					**0.00**
პირდაპირი ხარჯების ჯამი (1-6)					**0.00**
7 არაპირდაპირი ხარჯების ჯამი [4]	%-ში	0%			**0.00**
გრანტის სრული ხარჯი (1-7) [5]					**0.00**

შენიშვნები:

[1] თანადაფინანსების პრინციპის შესაბამისად, მიუთითეთ იღებს თუ არა გრანტიორი ნატურალური ან ფინანსური კონტრიბუციით ვალდებულებას წვლილის შეტანაზე. პირველის შემთხვევაში, უნდა მოხდეს ნატურალური კონტრიბუციის აღწერა, ხოლო მეორეს შემთხვევაში კი უნდა მიეთითოს ფინანსური კონტრიბუციის ოდენობა და ვალუტა. კონტრიბუცია არ უნდა გაერთიანდეს სავარაუდო ბიუჯეტის საერთო ოდენობაში.

[2] იხილეთ მუხლი 1.1 და 3.2.

[3] დაამატეთ სხვადასხვა უჯრები თითოეულ ღონისძიებაზე დამსწრეთა რაოდენობისა და ერთეულის ღირებულების გათვალისწინებით (სადილი, ვიზიტები, ა.შ.) შესაძლებელია გამოყენებულ იქნას "ერთეულის საშუალო ღირებულება", მაგრამ არა "მონაწილეთა საშუალო ოდენობა".

[4] მიუთითეთ პროცენტი (7%მდე საერთო ღირებულება) არაპირდაპირი ხარჯების დასაფარად (მაგალითად, მისაღები ღირებულება, რომელიც არ არის მითითებული ბიუჯეტის 1-6 თავებში და რომელიც გრანტიორმა გასწია გარკვეული აქტივობის განსახორციელებლად ან წარდგენილი პროექტის ფარგლებში).

[5] მხედველობაში იქონიეთ, რომ გრანტით გათვალისწინებული საერთო ხარჯი უტოლდება ან უფრო მცირეა, ვიდრე გასაცემი საგრანტო ფონდების ოდენობა.